


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყვილებით და ჭბრბით ბუძის გაცანა ყულა უკადრისდბაგე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 9 ოქტომბერი, 2015 წელი.

№190 (7835)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

ზაალ ანჯაფარიძე: ნაცემოდრაობა დღეს „ის თამრო“ არ არის... ③

ირაკლი სოსიაშვილი: სვალ ვნახავთ, ვინ იმღერებს ნაციონალების დაკრულზე ③

სანდრო ბრეგვაძე: ნაცები და ნაცსოლები ქართველთომოქულეები რომ ხართ ვინცოდი და იბაუივ დაკრფუნდი, რომ ერთი ნიბნივ არ ბაქვთ ნაკითხული! ②

ხელისუფლება - „რუსთავი-2“-ს თუ თავად რუსთავიორკლები - ხელისუფლებას? ⑤



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ჰააგის სასამართლოს უკრაინის ქვე მოქცა

პარაულოვან, რომ 2008 წლის ომის დროს საქართველოში სამხედრო დანაშაულები ჩადენილი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი შესაძლოა, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოიძიოს. როგორც სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოში ვითარების წინასწარი შესწავლა 2008 წლის აგვისტოში დაიწყო. შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, პროკურორმა ფატუ ბენსუდამ დაასკვნა - არსებობს „საფუძვლიანი ვარაუდი“ იმისა, რომ 2008 წლის ომის დროს საქართველოში სამხედრო დანაშაულია ჩადენილი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესებით, პროკურორმა სრულფასოვანი გამოძიების დასაწყებად წინასწარი წარმოების პალატის ნებართვა უნდა მიიღოს.

ფატუ ბენსუდას განაცხადის მიღების შემდეგ მოსამართლეები მიღებულ დოკუმენტებსა და სხვა მასალაზე დაყრდნობით გადაწყვეტენ, უნდა დაიწყოთ თუ არა გამოძიება.

წინასწარი წარმოების პალატაში, რომელიც აღნიშნულ საკითხს შეისწავლის, ჯოის ალუოჩი (კენია), კუნო ტარფუსერი (იტალია) და პეტერ კოვაჩი (უნგრეთი) შედიან.

ამასთან, 6 ოქტომბერს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ მასალები რუსეთიდან გამოითხოვა.

აფხაზთა ბენოფონდი ნადგურდება! ②③

ყველა თბილისელს - ვაუჩერი, ყველა დახარკვებულ ბენარბეს კი - იაფი სესხი ②

მკიბე სიტყვა ჯვართ-აპალები „მკიბე დღეს“... ④



სუპერ-თანაბელოვა კლინიკა სოფელ რუსში

სამართმელოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ვკა სეფაშვილი და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა ლევან შონიამ სამინისტროს შვს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორ იოსებ ოზაშვილთან ერთად რუსის მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობა დაათვალიერეს.

ახალი, 220-ადგილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა რუსში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შვს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ 2014 წლის აგვისტოში დაიწყო. კომპლექსი 12 შენობისაგან (სუთი და ორსართულიანი შენობები) შედგება. ამ დროისთვის 12-ვე კორპუსის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს, მათი ნაწილი უკვე დასრულების ფაზაშია და მიმდინარეობს საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

კლინიკის ტერიტორიაზე მოეწყობა აუდიტორიები და ბიბლიოთეკა სამედიცინო პროფილის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა, ავტოსადგომები, შიდა საავალი გზები, აუზები და სკვერები. ასევე, აშენდება საერთო საცხოვრებელი რეზიდენტების, კლინიკაში სამკურნალოდ ჩამოყვანილი პაციენტების ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის.

მრავალპროფილური კლინიკის ამოქმედების შემდეგ, რუსის და მისი მიმდებარე სოფლების, ჯამში, 14000 მცხოვრებს, სამედიცინო დახმარების მისაღებად, ზუგდიდში აღარ მოუწევს ჩასვლა; საავადმყოფო მოემსახურება აფხაზეთიდან ჩამოსულ პაციენტებსაც.

საავადმყოფოს მშენებლობა (შენობა და შიდა სამუშაოები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 41 მილიონ 264 ათას ლარია. ამ დროისთვის მშენებლობაზე 50 ადამიანი დასაქმებული.



ბები) შედგება. ამ დროისთვის 12-ვე კორპუსის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს, მათი ნაწილი უკვე დასრულების ფაზაშია და მიმდინარეობს საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

კლინიკის ტერიტორიაზე მოეწყობა აუდიტორიები და ბიბლიოთეკა სამედიცინო პროფილის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა, ავტოსადგომები, შიდა საავალი გზები, აუზები და სკვერები. ასევე, აშენდება საერთო საცხოვრებელი რეზიდენტების, კლინიკაში სამკურნალოდ ჩამოყვანილი პაციენტების ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის.

მრავალპროფილური კლინიკის ამოქმედების შემდეგ, რუსის და მისი მიმდებარე სოფლების, ჯამში, 14000 მცხოვრებს, სამედიცინო დახმარების მისაღებად, ზუგდიდში აღარ მოუწევს ჩასვლა; საავადმყოფო მოემსახურება აფხაზეთიდან ჩამოსულ პაციენტებსაც.

საავადმყოფოს მშენებლობა (შენობა და შიდა სამუშაოები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 41 მილიონ 264 ათას ლარია. ამ დროისთვის მშენებლობაზე 50 ადამიანი დასაქმებული.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვბაბან ვერ ნახავ!..

რას გეპირდებიან ეკონომიკური საბჭოს წევრები?

„საბჭოთავილო რეჟიმის“ პროექტის იდეა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა მომსახურების შესახებ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე მოიწონეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

ეკონომიკური საბჭოს წევრებმა ასევე იმსჯელეს ენერჯეტიკულ პრობლემის სახელმწიფო სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომელიც ენერჯორესურსებზე მოთხოვნის მართვის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები თბილისშიც განხორციელდება. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, დედაქალაქის მასშტაბით, საცხოვრებელი კორპუსების სახურავებზე მზის პანელები მოეწყობა.

ასევე, ეკონომიკური საბჭოს განდევნილებით, ქართული ჩაის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება იწყება, რეგიონებში კი შემსახველი მეურნეობები აშენდება. ჩაის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა წლების მანძილზე მიტოვებული პლანტაციების რეაბილიტაციას ითვალისწინებს, რაც მოსახლეობის დასაქმებას და მეჩაიეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. პროექტი მთავრობას დასამტკიცებლად უახლოეს სხდომაზე წარედგინება.

რეგიონებში კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში, შემსახველი მეურნეობების აშენება იგეგმება, რაც ქვეყნის მასშტაბით სასაწყობო-სამაცივრე მეურნეობის განვითარებას და პროდუქციის შენახვის ხანგრძლივობის გაზრდას ისახავს მიზნად. ეკონომიკურმა საბჭომ ასევე მოინახვეტრანთა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო თემის პროექტის საბოლოო ვერსია. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კონკრეტული სამუშაოები ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში დაიწყება.

SIC! SIC! SIC!

უნიბნურების შექმნა

ნათია და ნაცვლიანი მართვალომეცნიერები რომ ხართ, ვისთვის და იმისთვის დაკრძალავთ, რომ ერთი წიგნის არ გაქვთ წაკითხული!

„ინა, მარტო, სარწმუნოება“ ნამდვილად მოიბოდილა იმ ჭკვიანმა კაცმა? ეტყობა, ცუდ ხასიათზე იყო, – ჟურნალისტი ნათია კობერიძის facebook-სტატუსს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგვაძე „რეპორტიორთან“ საუბარში პასუხობს:

„ნაცვლიანი ილია ჭავჭავაძეს რომ გამოუცხადეს, რადგან სწორედ ილია და ილიას იდეებია ის უდიდესი რამ, რაც საქართველოს მტრებს მუდამ ამარცხებდა. თანამედროვე ბერბიჭაშვილებმა ნილაბი ჩამოიხსნეს და თავიანთი წინაპრების მსგავსად ღიად შეუტყვეს ქართული ეროვნული იდეის შემქმნელს.

ნაცვლიანი და ნაცვლიანი ქართველთაგან რომ ხართ, ეს კარგა ხანია, ვიცოდი, ალერახსნილებიც რომ ხართ, ესეც ვიცოდი, ქრისტიანობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების რწმენის მტრები რომ ხართ, ესეც ვიცოდი და ახლა იმაშიც დავრწმუნდი, რომ

ერთი წიგნიც არ გაქვთ წაკითხული.

კარგად მისმინე, ნაცვლიანი-ტონო უმეცრეა – დიდი ილია ჭავჭავაძის ფრაზა გახლავთ „მამული, ენა, სარწმუნოება“ და არა ის, რაც თქვენ დაწერეთ, ამას ელემენტარული განათლება სჭირდება, თუნდაც სკოლის დონეზე. ხოლო, როდესაც გამოვლიანებთ ამას, ეს მხოლოდ თქვენს უკიდურეს ერთუფრედობას უსცავს ხაზს, ხოლო ერთუფრედობას საზოგადოების დამოძღვრის პრეტენზია არ უნდა გქონდეთ. თქვენი ამ უმეცრეების ტირაჟების შემდგომ დავრწმუნდი, რომ თქვენ ის პლებების ფენა ბრძანდებით, რომელთაც კოსტიუმის მაგივრად შარვალ-კოსტუმს ამაობს, ცნების მაგივრად მცნებას, ხოლო ხელისუფლება-ოპოზიციის ნაცვლიანი პოზიციისა და ა.შ.

ამიტომ სანამ დიდ ილია ჭავჭავაძეს გააკრიტიკებდეთ, არ განწყენდეთ, თუნდაც მე-5, მე-6



კლასის სახელმძღვანელო აგელოთ და რაიმე წაგვეკითხოთ ან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს ჩაღრმავებოდი. სხვათაშორის, სიმბოლურია ისიც, რომ თქვენი სულიერი მამობი ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე მე-20 საუკუნის დასაწყისში ებრძოდნენ დიდ ილიას, ხოლო თქვენ 21-ე საუკუნეში განაგრძებთ მათი მოლაპარაკებრივი ტრადიცია! სიმბოლურია ისიც, რომ ფილიპე და

სერგოც ისეთივე უმეცრეები იყვნენ, როგორც თქვენ, ხოლო ნათელი ბოლშევიკები ისევე ცდილობდნენ ილია მართლის იდეების განადგურებას, როგორც დღეს თქვენ – ანუ ნაცვლიანი!

სიმბოლური იქნება დიდი ილიას წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად – თქვენც ისევე მოხვდებით ისტორიის სანაგვეზე, როგორც ბოლშევიკები, ხოლო წმინდა ილია მართლის იდეები მუდამ ცოცხალდება და ის ყოველთვის გაამარჯვებინებს საქართველოს!“ – აცხადებს სანდრო ბრეგვაძე.

ნათია კობერიძის თქმით, „ესტონელი ილია ჭავჭავაძის“ ყველაზე ცნობილი ფრაზა, შრომისმოყვარეობას უკავშირდება, რაც ერთგვარად აისახა და, შესაბამისად, ესტონეთს დღეს ევროკავშირში ყველაზე დაბალი საგარეო ვალი აქვს.

„დიდი ხნის წინ თქვა ესტონელმა ილია ჭავჭავაძემ – „ვინც ბევრს მუშაობს, სიყვარულსაც ის პოულობს!“

გულის ფიცარზე აწერიათ ეს ფრაზა ესტონელებს. 23 000\$ PPP. ყველაზე დაბალი საგარეო ვალი ევროკავშირში – GDP 5% etc.

„ენა, მამული, სარწმუნოება“ ნამდვილად მოიბოდილა იმ ჭკვიანმა კაცმა? ეტყობა, ცუდ ხასიათზე იყო“, – წერს ნათია კობერიძე.

ალა გრიგალაშვილი

შარხან ნატომ და საქართველომ დიდ წარმატებას მიაღწიეს

მს განცხადება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინათინ სიდაშელთან შეხვედრამდე გააკეთა.

„ჩვენ ახალი სასწავლო ცენტრი გახსენით, რომელმაც პირველ წვრთნას უკვე უმასპინძლა. ჩვენ ახლა მომავალ წელზე და ნატოსა და საქართველოს შორის შემდგომ მჭიდრო თანამშრომლობაზე ვიფიქრებთ“, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალური მდივანი და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ერთმანეთს გუშინ, ბრიუსელში ნატოს თავდაცვის მინისტრების ფარგლებში შეხვედნენ.



ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ღიად მიწის ჩვენი არაგუნდურობა

საბარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ომარ ნიშნიანიძე მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი მიწის არაგუნდურობაა.

მისი თქმით, ხელისუფლებასა და ხალხს შორის ნაკლები კომუნიკაციაა.

„სამწუხაროდ, ჩვენსა და ხალხს შორის კომუნიკაცია ძალიან ნაკლებია, პიარზე რომ აღარ არის ლაპარაკი საერთოდ – არ გვაქვს. ამიტომ არ სულ ამას გავიძახი, რომ მეტი ინფორმაცია ხალხს და ხალხის არაინფორმირებულობა იწვევს მის დაბნეულობას, არ ჩვენებზე მიუხედავადობას და არ მგონია, რომ ეს კარგი იყოს და ამაში ჩვენი ბრალი უნდა დავინახოთ“, – განაცხადა ნიშნიანიძემ.

სოციალურად დაუცველთათვის

ყველა თბილისელს - პაუჩიკი, ყველა დაზარალებულ მენარქსს კი - იაფი სესხი

ბოლო დღეებში თბილისის მერიაში გახშირებული გადადგომა-გადმოდგომის ფონზე, დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი სოციალური გადაწყვეტილება მიიღო. გაირკვა, რომ 20-ლარიანი ზამთრის ვაუჩერი ისევე ყველა თბილისელს ერგება, ხოლო სტიქიისგან დაზარალებული მენარქსები 3%-იან კრედიტებსაც გამოკრავენ ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ დავით ნარმანიას გუნდის წევრებს 20-ლარიანი კომუნალური ვაუჩერი დიდად არ ეპიტნავებოდათ, მერიაში წელს აგრეთვე დამძიმებული სოციალური ვითარების ფონზე, მისი გაუქმება ვერ გახდებოდა. ასე რომ, თბილისში ე.წ. კომუნალური ვაუჩერები ამ ზამთარშიც შენარჩუნდება. სუბსიდიის განსაზღვრის წესზე მუშაობა უკვე დასრულებულია.

„მერიაში გაითვალისწინა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესები და ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 70 001-ზე ნაკლები, 2015 წელს გაორმაგებული სუბსიდიის გარდა, ოქტომბერში დამატებით მიიღებენ ელექტროენერჯის კორექტირებული ტარიფის სხვაობას“, – აცხადებენ მერიაში.



რაც შეეხება სხვა აბონენტებს, მერიის ინფორმაციით, მათ სუბსიდიის იგივე რაოდენობით დაერიცხებათ, თვეში 20 ლარის ოდენობით. ნოემბრიდან, 5 თვის განმავლობაში. მანამდე კომუნალური ვაუჩერებთან დაკავშირებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მათ მხოლოდ სოციალურად დაუცველებს შეუნარჩუნებდნენ.

სახელმწიფო სოციალურად დაუცველი პირებისთვის ელექტროენერჯის გაზრდილ ტარიფთან დაკავშირებულ სუბსიდიას უკვე ოქტომბრიდან განახორციელებს.

„როგორც იცით, ისევე როგორც საქართველოს რეგიონებში, დედაქალაქში გაიზარდა ელექტროენერჯიაზე ტარიფი, მოხდა მისი კორექტირება. შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ მოწყვლადი ჯგუფები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 70 000-ს ერთეულს არ აღემატება, გარდა იმისა, რომ მათ 2015 წლის იანვრიდან კომუნალური ვაუჩერის ღირებულება გაუორმაგდათ, ოქტომბრის თვიდან მიიღებენ ასევე კორექტირებული ელექტროენერჯის ტარიფის ღირებულებას“, – განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

დედაქალაქურ სხდომაზე ასევე განიხილეს სტიქიით დაზარალებული მენარქსების საკითხიც. საუბარია არა მხოლოდ 13 ივნისის, არამედ ბოლო პერიოდში მომხდარი სტიქიით დაზარალებულთა შესახებ. მერიის ცნობით, ასეთი მენარქსები მიიღებენ შეღავათიან სესხს 6-ის ნაცვლად 3%-ის განაკვეთით. დანარჩენს კი თავად მუნიციპალიტეტი დააფინანსებს.

„სესხის პერიოდი 60-დან 84 თვემდე გაიზარდება, ხოლო საშელავათო პერიოდი – 6-დან 12 თვემდე“.

აპაბ დანელია

გამულირა გამოუშვეს, ჩვენ რაღა დავაზავითო?

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოშიშლილ მსჯავრდებულებთან/ბრალდებულებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ყველა მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია და მათ სათანადო სამედიცინო მომსახურება უტარდებათ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ მოშიშლილ მსჯავრდებულები/ბრალდებულები სხვადასხვა მუხლების საფუძველზე იმყოფებიან პატიმრობაში და მათი პროტესტი კონკრეტული საქმეებიდან გამოდინარეობს.

„მოშიშლილების ნაწილი არ აღიარებს ბრალს, მოითხოვს სამართლიანი სასამართლოს ჩატარებას, ნაწილი – საქმის გადახედვას, ნაწილი კი პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთან შეხვედრას“, – ნათქვამია განცხადებაში.

„არ კო დანა შა ულ ში ბრალდებული კახა მამულაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, გლდანის ციხეში პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს და შემამსუბუქებელ გარემოებებს ითხოვეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პატიმრების ახლობლებმა აცნობეს. მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შიმშილობის სუთი პატიმარი, რომლებიც ნარკოდანაშაულში არიან ბრალდებული.“

„ისინი მოითხოვენ, თუკი კახა მამულაშვილს შეეხო შემამსუბუქებელი გარემოება, მათ მიმართაც გამოიყენოს პროკურატურამ იგივე ღონისძიება“, – განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ერთ-ერთი მოშიშლილ პატიმრის ახლობელმა.

მისი ინფორმაციით, შიმშილობის აქცია ნარკოდანაშაულისთვის ბრალდებულებმა დაახლოებით 20 დღეა, დაიწყეს.



ნაპროგრამა დღეს „ის თამრო“ არ არის...

2003 წელს მას ჰქონდა გავლენა, ახლა კი მისი პოლიტიკური კაპიტალი წელის ტოლია

„2003 წელს ნაციონალური მოძრაობის ჯერ კიდევ ენდობოდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, არ იყო ისეთი დისკრედიტებული ორგანიზაცია, როგორც ახლა და მისი ლიდერიც საზოგადოებაში გარკვეული ნდობით სარგებლობდა“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დამოუკიდებელი ექსპერტი ზაბალ პნჯაჭვაძე, რომლის განცხადებით, დღეს ვითარება შეცვლილია, მცირდება ნაციონალური მოძრაობის მომხრეების რაოდენობა.

— ბატონო ზაბალ, დღეს ქვეყანაში არსებობს იმის წინაპირობა, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? მოგეხსენებათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს ვადამდელ არჩევნებს და ამ საკითხის ირგვლივ კონსულტაციებს იწყებს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან...

ჩვენი კონსტიტუცია აწესრიგებს ამ საკითხს. იმიტომ, რომ დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, არსებობს წინაპირობები. დღეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საფუძველს ვერ ვხედავ. მოდიოდა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ დაინიშნა ვადამდელი არჩევნები, არა მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობა რამე შეძლებდეს. ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში წარმოუდგენელია, მათ რამე წარმატების მიღწევა შეძლონ.

— თუკი შანსი არა აქვთ, მაშინ გაუგებარია, რა მოტივით ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს?

ჩემი ვარაუდით, არჩევნებს ითხოვენ იმიტომ, რომ უბრალოდ, სურთ პოლიტიკური ტემპერატურა ასწიონ ქვეყანაში, შეახსენონ თავიანთ მფარველებს თუ პარტნიორებს საზღვარგარეთ, რომ ისინი არსებობენ და, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, პოლიტიკურ კლიმატს ქმნიან ქვეყანაში, რომ იმდენად ძლიერი ოპოზიციური ძალა არიან, რომ ითხოვენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას.

— ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნა შიდა მოხმარებისთვისაც არის გამიზნული თუ მხოლოდ გარე ფაქტორზე აქვთ აქცენტი გაკეთებული?

ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ორივე ფაქტორია გათვალისწინებული. შიდა მოხმარებისთვის იმიტომ, რომ, როგორც უკვე მოგახსენეთ, უნდათ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირების ტემპერატურა ასწიონ, და გარე მოხმარებისთვის იმიტომ, რომ თავი შეახსენონ თავიანთ პარტნიორებს.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, მათ იმედი აქვთ, რომ ამ ბრძოლაში მხარს აუბამენ გარკვეული ოპოზიციური პარტიები, საზოგადოებრივი ჯგუფები და მათთან გაერთიანებით მოითხოვონ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, რომ ერთიანი

ფრონტით შეუტეონ ხელისუფლებას.

ეს არარეალური გეგმაა და ამიტომაც ვამბობ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა რეალობის აღქმა. თუმცა, მათ რიგებში არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც რეალობის გრძობა არ ღალატობთ, მაგრამ იძულებული არიან, იძახონ ის, რასაც მათი ლიდერები იძახიან.

— აქედან გამომდინარე, უბრალოდ კვევანა 2003 წელს, როდესაც ოპოზიციის მცირე ნაციონალურმა მოძრაობამ შეძლო ხელისუფლების შეცვლა?

სწორედ, ამიტომ იწყებს ჩემთვის დღევანდელი სიტუაცია ერთგვარ დეჟავუს, მაგრამ განსხვავება არის ის, რომ 2003 წელს ნაციონალური მოძრაობის ჯერ კიდევ ენდობოდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ იყო ისეთი დისკრედიტებული ორგანიზაცია, როგორც ახლა არის და მისი ლიდერიც საზოგადოებაში გარკვეული ნდობით სარგებლობდა. დღეს ვითარება შეცვლილია, მცირდება მათი მომხრეების რაოდენობა.

— ამ მოტივით იწყებს საკონსულტაციოდ სხვა პოლიტიკურ პარტიებს?

რა თქმა უნდა, მათი მიზანია, სხვა პოლიტიკური ძალებიც ჩართონ ამ პროცესში, რასაც ჰქვია ხელისუფლებასთან დაპირისპირება. როგორც მოახერხონ სხვადასხვა მიზეზით ხელისუფლებაზე განწყობებული ჯგუფების კონსოლიდაცია და ამის ნიადაგზე შეძლონ პროცესების რეგულაციური სცენარით წაყვანა. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა არ არის ის, რაც იყო 2003 წელს, დღეს მისი პოლიტიკური კაპიტალი წულამდგა შემცირებული.

— თქვენ ახსენებთ დაპირისპირებას და რეგულაციური სცენარისკენ პროცესების წაყვანას, ანუ დღეს ნაციონალური მოძრაობის რჩება ერთადერთი რესურსი — შიდა დაპირისპირების აგორება ქვეყანაში?

აბსოლუტურად გეთანხმებით შეფასებაში, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ერთადერთი რესურსია, შიდა დაპირისპირება ააგოროს ქვეყანაში და ეს პროცესები დასაძლეთში წარმოაჩინოს როგორც საერთო-სახალხო მღელვარება. სავარაუდოდ, მათი მეგობარი მედია საშუალებების გამოყენებით მოახერხებენ, რომ ეს დაპირისპირება წარმოჩნდეს როგორც ერთგვარი პროდასავლური დემოკრატიული ძალების ბრძოლა თითქოსდა პრორუსული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს არგუმენტი საკმაოდ კარგად ჭრის დასავლეთის გარკვეულ პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში. ეს გახლავთ ერთადერთი ხავსი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა დღეს ეჭიდება. ეს პარტია ყოველთვის იყო ორიენტირებული მღვრიე წყალში თევზის დაჭერაზე და ასე მოახერხეს 2003 წელს მღვრიე წყალში თევ-



ზის დაჭერა, მაგრამ არ მგონია, რომ 2015 წელს ეს მოახერხონ. ყველაფერს, რომ თავი დაეანებოთ საზოგადოებას ამას გულ-ხელდაკრეფილი არ შეხვდება, ისე როგორც ეს იყო 2003 წელს.

— მათი გზავნილი, რომ მთავრობის პასიურობის ფონზე რუსეთის პროპაგანდა საკმაოდ წარმატებით მოქმედებს და, რომ 2013 წელს ევრაზიის კავშირში შესვლას 11% უჭირდა მხარს, ხოლო 2014 წელს ეს რიცხვი ორჯერ გაიზარდა, როგორ ფიქრობთ, შესაბამის ნიადაგს ქმნიან იმისთვის, რომ შიდა დაპირისპირება წარმოჩნდეს როგორც პროდასავლური და პრორუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა?

ეს არის ერთ-ერთი თემატიკა, რომელზე სპეკულირებას შეეცდება ნაციონალურმა და მის ორბიტაზე მოტორილად სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ჯერ კიდევ წლინახევრის წინ მათმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პრესაში გაახმაურა გეგმა, როგორ აპირებენ ნაციონალური პოზიციების დაბრუნებას პოლიტიკურ ასპარეზზე, რაც მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას ფართო პროდასავლური ძალების კოალიცია, რომელშიც შევლენ არა მარტო პოლიტიკური პარტიები, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ერთობლივად შეუტევენ დღევანდელ ხელისუფლებას. მთავარი არგუმენტი იქნება ის, რომ ეს ხელისუფლება არ არის პროდასავლური და, რომ საქართველოს უცვლელ ორიენტაციას. ამის მაგალითია პერსონალურად ივანიშვილზე მიტანილი საინფორმაციო პროპაგანდისტული შეტევა, როცა მიტინგები მის სახლთან, დადნაშაულება იმაში, რომ კულულებიდან მართავს ქვეყანას. ვხედავთ, რომ ყველა პრობლემა მის სახელს უკავშირდება და ა.შ.

როგორც ჩანს, ყველაფერი მიდის იმ გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავებული აქვს ნაციონალურმა და რომელსაც ეტაპობრივად ახორციელებს. თუმცა, თუ დააკვირდით, მათ მიერ შემუშავებულმა გეგმამ შედეგი ვერ გამოიღო, პრაქტიკულად, ყველა კომპონენტი ჩაუვარდათ. ახლა, როგორც ჩანს, ახალი ინსტრუმენტები აამუშავებს.

თამთა ძარჩავა

ახე-ონალთა გეგმები — ვითარება საპარლამენტის ბუზში



ხვალ ვნახავთ, ვინ იმღერებს ნაციონალურ დაპირებებს

რომ დღეს გაუსკვდებთ. მესამე — შეგახსენებთ, რომ 2012 წლის არჩევნების შემდგომ რამდენჯერმე დააანონსეს, რომ ბრუნდებოდნენ, მაგრამ ეს პოლიტიკური ჭორობაც ისტორიას ჩაბარდა და, ბოლოს, კარგად გვახსოვს, აანონსებდნენ გრანდიოზულ აქციებს, ესეც საპარლამენტო ბუზში ტივით გასკვდა. დღეს მათ აქვთ საპარლამენტო ტრიბუნა, რომელსაც იყენებენ კიდევაც.

მმართველობის რა სტილი ჰქონდათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ზუსტად ისეთივე ოპოზიციის არიან, რომლებსაც თავისი პოლიტიკა აგებული აქვთ ტყუილებზე, ძალადობასა და მოდელირებულ პოლიტიკაზე. დარწმუნებული ვარ, რომ 2016 წლის არჩევნებზე ქართველი საზოგადოება ამ პოლიტიკური დაავადებისგან განთავისუფლდება.

— თუმცა, ნაციონალური ძალები ძალიან აქტიურად იყენებენ საერთაშორისო ტრიბუნას და ურთიერთობას ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ევროსაბჭოს ბოლო რეზოლუციით, რომლის შინაარსი ძალიან მძიმეა ქვეყნისთვის...

მართლაც, ძალიან სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ე.წ. რეზოლუციები პოლიტიკურად ნაციონალური ვინრო პოლიტიკური ინტერესებისთვის ქვეყნის იმიჯს ძირს უთხრიან. მათი მმართველობის სტილი ყოველთვის ასეთი იყო და დღეს ამ მეთოდით მოქმედებენ. ჩვენი საზოგადოება ყველაზე კარგად ხედავს, რა არის რეალობა. პირადად ჩემთვის ნაციონალურების ასეთი აქტიურობა ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებას ნიშნავს.

— ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მიზანმიმართულად მიჰყავს პროცესები დესტაბილიზაციისკენ. ამ ვითარებაში რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ არ დაუშვას ქვეყანაში დაპირისპირება?

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ნაციონალური მოძრა-

ობას სწევია საზოგადოების მოდელირებულ რეალობაში ცხოვრება. დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, ისინი ცდილობენ, რომ საზოგადოებას აპოკალიფსური სურათები დანახონ. ამისთვის ისინი იყენებენ „რუსთავი-2“-ს და თავიანთ კონტაქტებს დასავლეთში, ეს ყველაფერი არის მათი ე.წ. ძალა, რომელიც ძალიან შორს არის რეალურ ძალასთან. რეალური ძალა ხალხში და ხალხის არჩევანშია. ჩვენ, „ქართულ ოცნებას“, ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს საკუთარ გამოჩენველთან. ჩვენს მოწინააღმდეგედ ნამდვილად ვერ განვიხილავ ნაციონალური მოძრაობის წარჩენებს.

— და ვის განიხილავთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ?

უწინარესად, ჩვენს მოწინააღმდეგედ განვიხილავთ საზოგადოების პოლიტიკურ პოზიციებს და ამ მიმართულებით ძალიან ბევრი მუშაობა მოგვიწევს. რაც ჩვენმა ხელისუფლებამ გააკეთა, უნდა შევძლოთ ამის საზოგადოებასთან მიტანა. მართლაც ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და წინასაარჩევნოდ მოგვეცემა იმის საშუალება, რომ ამაზე დეტალურად ვისაუბროთ ჩვენს საზოგადოებასთან. დანარჩენი, ხვალ ვნახავთ, ვინ შეუერთდება ნაციონალური მოძრაობის ამ მოვლას და ვინ იმღერებს ნაციონალურ დაპირებებს.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებს „რუსთავი-2“-ს, შესაბამისად მინდა გკითხოთ, რას იტყვით იმ ბრალდებაზე, რომელსაც არხის გენერალური დირექტორი უყენებს ხელისუფლებას, რომ მიმდინარე სასამართლო დავით დაინტერესებულია ხელისუფლება? რა კავშირი აქვს ხელისუფლებას სასამართლო დავასთან?

არანარი კავშირი ხელისუფლებას ამ სასამართლო დავასთან არ აქვს და, მით უმეტეს, არავის უზღუდავს სიტყვის თავისუფლებას. „რუსთავი-2“-ს აწყობს თქვას, რომ ამის უკან პოლიტიკური ინტერესები დგას. საუბრობს ისე, როგორც მას აწყობს და ეს სჭირდება პოლიტიკურად. როდესაც ერთი ადამიანი ითხოვს თავის კუთვნილ წილს, აქ სახელმწიფო რა შუაშია? მედიის თავისუფლებასთან არანარი კავშირი არა აქვს იმას, რაც ხდება.

თამთა ძარჩავა

ლმერთი შემიწინააღმდეგება და, ხანდახან ისიც კი მიყვარება, თანამედროვე ქართული მედიის ავან-ჩავანი თვით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაზე და „პროსტო“ მოქალაქე ბიძინა ივანიშვილზე ოდნავ, სულ ოდნავ უკეთესი-მეტი: ბოლოს და ბოლოს, ოცდაათი წელიწადია, ყურნალისტიკაში ვარ. ამიტომ ვბედავ, აზრი გამოვთქვა ერთ საგაზეთო პუბლიკაციაზე იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩემდა და ქართული ყურნალისტიკის საგვალალოდ, ორივე ეს ბატონი, მგონი, მართლაც ბრძანდებიან.

„ნარბიზა ლომთაძე: 27 სექტემბერი ჯვართამაღლებია, ჩვენი ისტორიისთვის ძალიან მძიმე დღე“. — ასე იწყება წლებიდან 28 სექტემბრის „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ ქალბატონ ნარბიზა ლომთაძესთან (ესაუბრა ქეთევან ქაღვიანი).

ლევანდის მიხედვით, მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში იერუსალიმის მახლობლად აღმოაჩინეს ჯვარი, რომელზეც დაახლოებით სამას ოცდაათი წლით ადრე აცვეს ქრისტი. რომის იმპერატორ კონსტანტინეს დედის, დედოფალ ელენეს შეწევნით, იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიოსმა ჯვარი თვალსაჩინო ადგილას გამოფინა (ალამაღლა), რათა ამ წმინდა რელიკვიის ხილვის შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს ჰქონოდა. ეს ფაქტი რომის იმპერიაში, მთლიანად მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში, ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ აღიარებაზე მიანიშნებდა. ამიტომაცაა, რომ უკვე ჩვიდმეტი საუკუნეა, მსოფლიოს საქრისტიანო ამ დღეს ზეიმით აღნიშნავენ.

27 სექტემბერი საქართველო უახლესი ისტორიისთვის იმითომ კი არ არის „მძიმე“, რომ ჯვართამაღლებია, არამედ იმითომ, რომ ამ დღეს დაეცა სოხუმი (მოხდა სხვა ტრაგიკული მოვლენები). ექვციც არ მეპარება, რომ „ასავალ-დასავალის“ რესპონდენტმა და კორესპონდენტმა იციან ეს ამბავი, მაგრამ არ იციან, როგორ გადმოსცენ წერილობით ლიტერატურულ ქართულ ენაზე.

ინტერვიუს სათაურიც ასავალ-დასავალურად შთაბეჭდავია — „ნარბიზა ლომთაძე: 27 სექტემბერს ჟიული შარტავა ჩაცხრილეს, 27 სექტემბერს მამუკა ასლანიკაშვილი დაბადა, 27 სექტემბერს რობერტ ლარიაშვილი დაკრძალეს!“ რედაქციის მესათაურე მკითხველის ქვეცნობიერზე ზემოქმედებას ცდილობს - ჟიული შარტავას სახელი ყველამ იცის, მაგრამ თურმე არანაკლებ ნამებულები და გმირები არიან ყოფილი პარტიული და კომკავშირული ფუნქციონერები — მამუკა ასლანიკაშვილი და რობერტ ლარიაშვილი. ამის უტყუარი ზეციური ნიშანი კი თურმე ის არის, რომ სოხუმის დაცემას, ჟიული შარტავას, მამუკა ასლანიკაშვილსა და რობერტ ლარიაშვილს საკრალური ოცდასიდი აერთიანებს: „27 სექტემბერს აფხაზეთში უმონვლოდ ჩაცხრილეს ჟიული შარტავა; ამ დღეს იყო დაბადებული ჩვენი თაობის სათავეებზელი მამულიშვილი მამუკა ასლანიკაშვილი, რომელიც პარტიის ცეკას ყოფილმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა თვითმკვლელობამდე მიიყვანა; ამ დღეს დაკრძალეს ჟიული შარტავას ფონდის ხელმძღვანელი რობერტ ლარიაშვილი. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, სამივე მათგანმა მინც შეძლო საქართველოს ისტორიაში თავისი კვალის დატოვება“.

თავი დავანებოთ იმას, რომ თავის დროზე მართლაც „კარგ ბიჭად“ ცნობილი კომკავშირული და პარტიული ფუნქციონერის, კომპარტიის ქუთაისის ქალაქის პირველი მდივნის მამუკა ასლანიკაშვილის „ჩვენი თაობის სათავეებზელი მამულიშვილად“ მოხსენიება კარიკატურული და შეურაცხმყოფელია თავად ადრე-სატიწათვის - ნებისმიერი „კარგი“ საბჭოთა პარტიული ჩინოვნიკი, უბრალოდ, ვერ იქნება „სათაყვანებელი“ (დიდ ბოდიშს ვიხდი განსვენებულის სსოვინსა და მისი ახლობლების წინაშე). თუმცა, აქ მთავარი სხვა რამეა - ყურნალისტიკა და ინტერვიუერს ამ საჩოთირო ეპითეტის მოშველიება ჯუმბერ პატიაშვილის ან ვინმე სხვა „ეროვნულად მოაზროვნეს“ ოდესმე ეს საკითხი დაეყენებინოს. ვერც დააყენებდნენ, ვინაიდან ნებისმიერ თავმოყვარე სასამართლოს პირისათვის ბრალის დასადასტურებლად მაღალფარდოვანი ჭორების გარდა, აუცილებლად სჭირდება დოკუმენტური არგუმენტაცია. სხვათა შორის, იგივე წესი ვრცელდება მედიაზეც - სანამ ყურნალისტიკა ქეთევან ხამიკაშვილი ჯუმბერ პატიაშვილს ქალბატონი ნარბიზა ლომთაძის პირით უმძიმეს ბრალდებებს წაუყენებდა, ამ ბრალდების დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტები უნდა მოეძიებინა (მონათვა ჩვენებები, ჩანაწერები, სხვა პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები...). სხვანაირად, ეს არის ყოველგვარი ბლეფი, რაც სახელს უტყებს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ გაზეთს და მთლიანად ქართულ ყურნალისტიკას. ამავე დროს, გზას უხსნის „გაკრიტიკებულს“, სამარ-

ლის „ბრალის“ დასამძიმებლად დასჭირდათ: სად უბრალო ადამიანის სასიკვდილოდ გამეტება და სად — „სათაყვანებლისა“!

ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანა არის მძიმე დანაშაული და საბჭოთა საქართველოშიც და ახლაც ისჯებოდა და ისჯება კანონით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ წლამდე). ეს ნიშნავს, რომ ჯუმბერ პატიაშვილს პასუხი უნდა ეგო ჩადენილი დანაშაულისათვის. თუ ეს მისი ცეკას მდივნობისას ვერ მოხერხდა, სამართლიანობის ზეიმს წინ არაფერი ედგა მისი თანამდებობიდან გადადგომის (1989 წლის 14 აპრილი) შემდეგ. სამწუხაროდ, რაღაც არ მაგონდება, ქალბატონ ნარ-

მძიმე სიტუაცია ჯვართამაღლების „მძიმე დღეს“...



უნდა პატიარო - გული მტკივა.
როსა უგაღვინი თანამდებობის
პირები ქართულ
ყურნალისტიკას არსთუ
კორექტულად
აპრიტიკებენ...

გობაზე მიანიშნებს. ქალბატონი ლომთაძის ნაამბობი, რომ პატიაშვილმა ასლანიკაშვილი კაბინეტის კარებთან „აყურყუტა“, გარდაცვლილს „თბილისში დასაკრძალავი მინა არ აუბრუნა“, რაიკომის მდივნებს „პანაშვილზე მისვლა აუკრძალა“, ვინც გაზეთს და მინც მივიდა, „ყველა სამსახურიდან მოხსნა“ და მისთან, არის გონებანაღუნებზე გათვლილი მიეთ-მოეთი და საერთო არაფერი აქვს არც სიმართლესთან და, რაც ყველაზე გულსატკეპია, არც ყურნალისტიკასთან.

თლებრივი გზით შური იძიოს მედიასაშუალებებზე, ხოლო ხელისუფლებას — იქილიკოს ყურნალისტიკებზე და ყურნალისტიკაზე.

ყურნალისტიკის ძნელი დასადგენი არ უნდა ყოფილიყო, რომ იმ 1986 წელს უკრაინის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში ქუთაისის ავტოქარხნიდან გეგმიურად გაიგზავნა სატვირთო ავტომობილები (თუ არ ვცდები, 30 ერთეული), რომლებმაც გაუმართაობის გამო ადრესატამდე ვერ ჩააღწიეს. ამ ავტომანქანების ამუშავება რემონტის შემდეგაც ვერ მოხერხდა და კოლმეურნეობამ სოლიდური ზარალი მიიღო. რაც მთავარია, ამის შესახებ პარტიის საკავშირო ყრილობაზე განაცხადა იმ კოლმეურნეობის თავჯდომარემ და, ბუნებრივია, პოლიტიბიუროსგან საკმაოდ მკაცრი და ირონიული საყვედურები დაიმსახურა პატიაშვილმა. მანაც, სავარაუდოდ, თავის მხრივ, მკაცრი საყვედური უთხრა პარტიის ქუთაისის ქალაქკომის პირველ მდივანს. არ ვიცი, იქნებ თანამდებობიდან გათავისუფლებითაც დაემუქრა (იმ ბნელ დროს სპეცსამსახურები და ყურნალისტიკები კერძო სატელეფონო საუბრებს ჯერ კიდევ საიდუმლოდ არ ინერდნენ. თუმცა, ქალბატონმა ლომთაძემ ამ საუბრის შინაარსი მინც დაწვრილებით იცის!).

თუ ყურნალისტიკა ხამიკაშვილმა არა, მრავლისმნახველმა ქალბატონმა ნარბიზა ლომთაძემ უნდა იცოდეს, რომ კომუნისტურ ეპოქაში მთელი საბჭოთა იმპერია, კალინინგრადიდან სახალინამდე და ფრანც იოსების მიწიდან მთიან ყარაბაღამდე, კრემლიდან მინარეთებლად. იქ მიიღებოდა ყველა მეტ-ნაკლებად მისშენლოვანი გადაწყვეტილება — პოლიტიკურიც, სოციალურიც, ეკონომიკურიც, სამხედროც, საკადროც... პატიაშვილისა და სხვებისადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იყო კრემლის უზენაესი ნების აღმსრულებელი. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოს ცეკას პირველი მდივანი, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, თავზე ხელს ვერ გადაუსვამდა ყოვლისშემძლე პოლიტიბიუროს მიერ მკაცრად გაკრიტიკებულ ადგილობრივი მნიშვნელობის პარტიულ ბოსს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმ ეპოქაში სწორედ პარტიული ხელმძღვანელი იყო პასუხისმგებელი თავის რეგიონში მრევლოების, სოფლის მეურნეობის, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების, კულტურის ცენტრების... გამართულ მუშაობაზე. როცა მამუკა ასლანიკაშვილი ქუთაისის, საქართველოს ერთ-ერთი სამრეწველო და კულტურული ცენტრის, ქალაქკომის მდივნობაზე დასთანხმდა, ამით უზარმაზარი პასუხისმგებლობაც იტვირთა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ იგი არ იყო მზად ამ გაუსაძლისი სიმძიმის სატარებლად და სიცოცხლე ტრაგიკულად დაამთავრა.

ამ ტრაგედიის პერსონალურად ერთ ადამიანზე, თუნდაც საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანზე, გადაბრალება იმ ეპოქის არცოდნაზე და მოწინააღმდეგის არარსებობის პირობებში საკუთარი „სიმამაცით“ კეკლუცობაზე მიანიშნებს.

ქალბატონი ლომთაძის ნაამბობი, რომ პატიაშვილმა ასლანიკაშვილი კაბინეტის კარებთან „აყურყუტა“, გარდაცვლილს „თბილისში დასაკრძალავი მინა არ აუბრუნა“, რაიკომის მდივნებს „პანაშვილზე მისვლა აუკრძალა“, ვინც გაზეთს და მინც მივიდა, „ყველა სამსახურიდან მოხსნა“ და მისთან, არის გონებანაღუნებზე გათვლილი მიეთ-მოეთი და საერთო არაფერი აქვს არც სიმართლესთან და, რაც ყველაზე გულსატკეპია, არც ყურნალისტიკასთან.

„ყველამ კარგად იცის, რა გაუკეთა მან (ჯუმბერ პატიაშვილმა, — თ. ქ.) სოლიკო ხაბეიშვილს, რომელსაც დაჭერა არ აკმარა და მისი შვილი სამედიცინო ინსტიტუტიდან გაარიცხინა. მერე თანამდებობიდან მოხსნა ინსტიტუტის რექტორი კონსტანტინე ვირსალაძე და მის ადგილზე თავისი ქვისლი, არჩილ ასათიანი დანიშნა“, — ისე სასხვათაშორისოდ ბრძანებს ქალბატონი ნარბიზა თავის ინტერვიუში.

ვისაც ტოტალურ კორუფციაზე დაფუძნებულ მმართველობის კომუნისტურ რეჟიმზე თუნდაც ზოგადი წარმოდგენა აქვს, ასეთი რეჟიმის უფლებას თავს არ უნდა მისცეს. რა თქმა უნდა, თუ თვითონ ქალბატონი ნარბიზა ლომთაძის, ყურნალისტიკის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სახელის გატყვევას არ აპირებს.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში სოლიკო ხაბეიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო ჯერ კიდევ 1984 წლიდან და ამის შესახებ პატიაშვილმა არაფერი იცოდა (სოლიკო ხაბეიშვილის ბურუსით მოცული მკვლელობის შემდეგ საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლე შესაბამისი ოფიციალური საგამოძიებო მასალები). ნებისთ თუ უნებლიეთ, თავის დროზე ხაბეიშვილმა იცისრა შუამავლის როლი არა მარტო საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასა და კრემლს, არამედ ევროპულ წოდებულ „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ მაფიოზურ კლანსა და კრემლს შორის. ეს ნიშნავს, რომ მან იცოდა ბევრი ისეთი რამ, რაც, შესაძლოა, კარიე-

აფხაზეთი

თუ რუსებს და სომხებს აქვთ აფხაზეთში ქონების შექენის უფლება, ქართველებმა რა ღააშავენ?

ოქტომბრის 27-ს აფხაზეთის ყოფილი დე ფაქტო პრემიერ-მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მიერ აფხაზეთში უძრავი ქონების შექენის პროგრამა თუ მართლაც არსებობს, ის არარეალურია. ამის შესახებ შამბამ sukhum-ში სოხუმი-სთან ინტერვიუში, იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მეცნიერები საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის მიერ აფხაზეთში უძრავი ქონების მასობრივად შესყიდვის მიზნით ფონდის შექენაზე და რამდენად რეალურია ეს გეგმა? „ვერ გამოვრცხავ, რომ ვინმე განა-

სორციელოს შესყიდვების ასეთი აქციის ორგანიზება. მაგრამ მე არ მესმის, რომელია ეს ქართველი როგორ იყიდის აფხაზეთში უძრავ ქონებას. შემდგომში არს უზამს ამ ქონებას? დასასვენებლად ჩამოვა აქ თუ საცხოვრებლად? ეს არარეალური პროგრამაა, თუ ის მართლაც არსებობს. ქართველები იარაღით ხელში ვერ დაიჭვივდნენ აქ და იარაღის გარეშე როგორ იცხოვრებენ?“ — განაცხადა სერგეი შამბამ. ბიძინა ივანიშვილის ინტერესზე, აფხაზეთში უძრავი ქონება შეიძინოს, აფხაზი მკვლევარები მიმდინარე წლის აგვისტოში, აფხაზეთის პუბლიკარული კვლევების ინსტიტუტში გამართულ

სამეცნიერო კონფერენციაზეც საუბრობდნენ. „რუსეთს არა აქვს სურვილი, ახალი ტერიტორიები აითვისოს და აფხაზეთში უძრავი ქონება შეისყიდოს. მას თავისი მიწებიც ჰყოფნის, სამაგიეროდ, ასეთი მოთხოვნა აქვს მილიონ-ნახევრიან ქართულ დიასპორას, რომელიც რუსეთში ცხოვრობს. შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა ფონდი და გამოაცხადა, რომ მზადაა, ამ ფონდში მილიარდი დოლარი შეიტანოს აფხაზეთში უძრავი ქონების შექენის მიზნით“, — განაცხადა ინსტიტუტის ხელმძღვანელი ანატოლი მანუილი.

ინტერვიუ

რისა და თვით სიცოცხლის ფასადაც კი დაჯდომოდა კრემლის უჩინარ მმართველებს და შუამავალთა ქსელსაც. არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ სავარაუდოდ, სოლიკო საბეიშვილის დაპატიმრებაც და შემდეგ მისი მკვლელობაც სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, „საბეიშვილის საქმე“ ჩემზე დატოვა შთაბეჭდილება, რომ საგამომიებო ორგანიზებმა იცოდნენ, რასთან ჰქონდათ საქმე და კატეგორიულად არ უნდოდათ სიმაართლის გამოჩენა.

ბოდიშს მოვიხდი ჯუმბერ პატიაშვილთან და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სოლიკო საბეიშვილის ბედის გადაწყვეტას მას, უბრალოდ, არავინ შეეკითხებოდა. სხვათა შორის, არც ედუარდ შევარდნაძეს.

რაც შეეხება საბეიშვილის ვაჟის სამედიცინო ინსტიტუტიდან გარიცხვას... აი, ამის გარკვევა ქალბატონ ხამიციანიშვილსაც კი შეეძლო – საბეიშვილის ვაჟს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, საერთოდ, არ უსწავლია და, შესაბამისად, არავის არსაიდან არ გაუარიცხავს. ხოლო სადაც ისწავლა, კარგად ისწავლა, შესანიშნავი პროფესიონალი დადგა და დღეს თბილისში ერთ-ერთი წარმატებული კლინიკის მფლობელი და ხელმძღვანელია.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორების მოხსენა-დანიშნებზე, აბა, რა გითხრათ – არჩილ ასათიანი არ ყოფილა ჯუმბერ პატიაშვილის ქვისლი.

ქალბატონ ლომთაძეს პატიაშვილის არც იუმორი მოსწონს. ილია ჭავჭავაძის 150 წლის საიუბილეო საღამოზე (სხვათა შორის, საგურამოს გზაზე დიდი ილია ძეგლის დადგმა თავისი 150-საფეხურიანი კიბით, სხვა ბევრი დონისიძება და გრანდიოზული საიუბილეო საღამოც სწორედ პატიაშვილის სახელს უკავშირდება) პატიაშვილმა მართლაც იხუმრა, დიდ ილიას იმით ვგავარ, მამაჩემსაც ილია ერქვაო. ეს არის გონებაშეზღუდული იუმორი და საერთო არაფერი აქვს ამბიციურობასთან. დარბაზმაც სწორედ ასე მიიღო (ყველამ ალაღად გაიცინა) და არავინაც არ „აღშფოთებულა“, როგორც ამას ქალბატონი ჟურნალისტი და ვეტერანი გვამცნობენ.

ალბათ არ ღირს იმაზე საუბარი, თავისი უტაქტო ხუმრობით თურმე როგორ გაუყენა მოუსაველეთის გზას პატიაშვილმა სათნო ქალბატონი მზია ჭანტურია, ან რუსთავეის ქალაქკომის პირველ მდივანად დანიშნით როგორ ატყინა გული ყოფილი შარტავას...

გაზეთისა და ქალბატონ ლომთაძის აზრით, ყოფილი კომკავშირული და პარტიული ფუნქციონერის ყოფილი შარტავას ფონდის ხელმძღვანელის რობერტ ლარიბაშვილის გარდაცვალებაც მთლად პატიაშვილის არა, მაგრამ ხელისუფლების (იგულისხმება სააკაშვილის ხელისუფლება) ბრალი ყოფილა. თურმე შარტავას ძეგლის დასადგმელად ფონდისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულიდან ლარიბაშვილს ნაწილი თავისი წიგნის გამოსაცემად გაუხარჯავს. ამით ფინანსური პოლიცია დაინტერესებულა და ფონდში დენსანტი გადაუხსნა. ეს გაუგონარი მკრეხელობა, თურმე, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რობერტ ლარიბაშვილს სიცოცხლე მოულოდნელად ქუჩაში დაემთავრებინა.

საკაშვილის ხელისუფლების ადვოკატად ნამდვილად ვერ გამოვდგები, მაგრამ თუ მართლაც ისე მოხდა, როგორც ქალბატონი ლომთაძე ბრძანებს, ფონდის და მისი პრეზიდენტის მოღვაწეობით ფინანსური პოლიცია არ უნდა დაინტერესებულყო?

ჟურნალისტიკური გამოძიება (რისი პრეტენზიაც აქვს ამ ინტერვიუს) ჟურნალისტიკის ურთულესი, ძალიან შრომატევადი და სახიფათო ჟანრია – დიდი საბედისწერო შეცდომის ალბათობა. მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გამოძიებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ფაქტების არსებობა, გამოკითხვა და დათხრება. ყოველად ავტორიტეტული პერსონების მოსაზრებები. საჭიროა კიდევ უტყუარი მტკიცებულებებისა და არგუმენტების მოპოვება, მათი შეჯერება და ერთადერთი სწორი დასკვნის გამოტანა. აღარაფერს ვამბობ ჟურნალისტიკურ ხელნაწებზე. არ შეიძლება, კონონით ისჯება ადამიანის საჯარო ცილისწამება, მისი პატივისა და ღირსების შელახვა. არა მგონია, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი, ჯუმბერ პატიაშვილი მამა აბრამის უცოდველი ბატკანი იყოს, მაგრამ ის არის ცოცხალი ადამიანი, საზოგადოების სრულყოფილი და ცნობილი წევრი, დიდი ოჯახის მამა. მას, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, შეიძლება დავაბრალოთ მხოლოდ ის, რის დამტკიცებასაც შევძლებთ.

ქალბატონი ნარგვიზა ლომთაძე თავის პროვოკაციულ ინტერვიუს ხელისუფლებისადმი შეგონებით ამთავრებს – „**ფიულის, რობერტისა და მამუკას ცხოვრების მაგალითზე, დღევანდელ ხელისუფლებას ვურჩევ, გეზი ეროვნული მოღვაწეებისკენ აიღოს და სამშობლოს წინაშე შეეფიცოს არ დაივიწყოს!**“ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის კი ურჩევს, სადაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულებზე ისაუბრებს, იქ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაღუპულებზე მოიხსენიოს. თანაც, „**თინა ხიდაშელი სანამ რაღაცას იტყვის, კარგად დაფიქრდეს!**“

ოქრო სიტყვებია, ისეთი ბაჯალლო, რომ მათი გათვალისწინება არც მის ავტორს აწყენდა.

თეიმურაზ ძორიძე.
05. 10. 2015 წელი.

ხელისუფლება - „რუსთავი-2“-ს თუ თავად რუსთავიორებს - ხელისუფლებას?

სათაურში დასმულ კითხვას ალბათ უახლოეს მომავალში იმ პროცესების მსვლელობა გასცემს პასუხს, რომელიც ამჟამად ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარეობს. სულ ცოტა წინა წინათ აბა ვინ იფიქრებდა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საკუთრების თაობაზე მენიღეთა სასამართლო დავა საქართველოს ფარგლებს გასცდებოდა, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცეოდა და ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის მოსალოდნელი შეზღუდვის შიში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტსაც კი შეაშფოთებდა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ თუ მედიის თავისუფლებას რაიმე საფრთხე დაემუქრება, მსოფლიოს თვალში მისი რეიტინგი საგრძნობლად შეილახება.

**ანჟორ საკანდელიძე:
„რუსთავი-2“-ის შენობა კანონიერ მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს**

რადგან აქ დაფუძნდა საკავშირო დაქვემდებარების თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი „აბრევიატურით „ТБИЛხИИИЭП“. ეს იყო უდიდესი მასშტაბების მქონე უნიკალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სამშენებლო-სამეცნიერო და საპროექტო სფეროებში კურირებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს.

– მერედა ვინ გადასცა, როგორც თქვენ

ამბობთ, მუქთად ამხელა შენობა „რუსთავი-2“-ს?
– როცა ნაცბელადმა სააკაშვილმა დაიწყო მეცნიერების განადგურება და ნადირობა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პრესტიჟულ შენობებზე, საბურთალოზე უმაღლესი ხარისხით აშენებულ ამ ინსტიტუტსაც დაადგა თვალი და 2008 წლის ივლისში პირდაპირი მიყიდვის წესით, ფაქტიურად რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარად ღირებული 16 ათასი კვ. მეტრი შენობა-ნაგებობები და 24 ათასი კვ. მეტრი მიწის ფართობი სულ რაღაც ერთი მილიონ ლარად „მიყიდა“ თავისივე ტელერეზორ „რუსთავი-2“-ს. როგორც მაშინ განმარტდა მედიაში, ამის საფასურად ბიუჯეტში მიზერული თანხაც კი არ შესულა(!).

– ბატონო ანჟორ, ეგ ის შენობა არ არის, რომ ჩამოინგრა და ორი ადამიანის სიცოცხლე იმსვერებლა?

– დიას, არ გასულა ერთი წელიც და 2009 წლის 26 აპრილს, დილის 5 საათზე „რუსთავი-2“-ის ვითომ მესაკუთრეებმა, წარმოდგენილი უფიცობით ჩამოინგრის 5 მალის 30 მეტრი სიგრძის ფრაგმენტი, რასაც შეენირა 2 ახალგაზრდა მუშის სიცოცხლე. აი მაშინ უნდა გვევაჟკაცა და ეს მკვლევები კინსისკვრით გამოგვეყარა მათ მიერ მიტაცებულ-დაზღვრული, საქართველოს სეისმოუსაფრთხოების გაძლიერებისთვის უფლისგან ბოძებული ამ მართლაცდა უნიკალური ინსტიტუტის შენობიდან. სამწუხაროდ, ეს არ გავაკეთეთ, ამით გათამამებულმა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობებზე მონადირე სააკაშვილმა კი ზუსტად ამ სქემით გაანადგურა მთელ საბჭოთა კავშირში უდიდეს სამშენებლო-სამეცნიერო ცენტრებად აღიარებული ზაგრაივის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის, აგრეთვე, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

ეს არის ეროვნული ტრაგედია და მოსახლეობის განწირვა მოსალოდნელი სეისმოკატასტროფებისთვის, რომლის მსხვერპლის მასშტაბების წარმოდგენაც კი შემზარავია. სწორედ ამის თაობაზე მსურდა მელაპარაკა წლეულს 21 ივნისს გამართულ საკვირაო ტელეგადაცემაში, მაგრამ მისმა წამყვანებმა სასწრაფოდ გამაჩუმეს..

– როგორ თუ გაგაჩუმეს, ბატონო ანჟორ, მიკროფონი გამოგორთეს?

– დიას, სააკაშვილის აუგად მოხსენიებაზე აგრესიულად აჭრილი ინგა გრიგოლია და ეკა ხოფერია აფრთხილებით მეცნენ და მოსახლეობისთვის რეალური ინფორმაციის მიწოდების საშუალება არ მომცეს. როგორც ჩანს, მაშინ არ სურდათ შეთქვა, რომ ტელეკომპანიის ნამდვილი მესაკუთრე სააკაშვილი ბრძანდებოდა(!).

– რას მოითხოვთ, ეს პრობლემა როგორ უნდა გადაწყდეს?

– როგორ და „რუსთავი-2“-ის ამჟამინდელი ოფისი (შენობა) კანონიერ მფლობელს უნდა დაუბრუნდეს და იქ განთავსდეს ზემოთ ნახსენები ინსტიტუტები გადარჩენილი კადრებით, სამეცნიერო-კვლევითი ბაზებით და უძვირფასესი არქივებით, რომლებიც ყოველდღიურად ნადგურდება.

ბატონო ანჟორ საკანდელიძესთან საუბარი აღარ გამიგრძელდება. რაც ითქვა, იქიდანაც კარგად ჩანს, „რუსთავი-2“-ის მესაკუთრეთა ჩახლართული დავიდან ტელეარხისა და ნაცბანდის ავანტიურსტმა მსხვერპლებმა რა ზღაპარი ააგორეს ხალხის ასაბუნებელად და ხელისუფლების ვადამდე გასასტუმრებლად. არაფერი გამოუვით, კერძო სუბიექტების დავას, იმედია, თავისუფალი სასამართლო მოუვლის, აი სიტყვის თავისუფლებას კი, რომელსაც თავად რუსთავიორები ებრძვიან, ფაქტია, საქართველოში რეალურად არაფერი ემუქრება.

ოთარ ხუციშვილი



თუმცა, სულაც არ არის გასაკვირი ჩვენი ოკეანეს-გალმელი სტრატეგიული პარტნიორის შეშფოთება მას შემდეგ, რაც ცნობილი პოლიტიკურმა დემაგოგმა, „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ქვეყანას აუწყა, რომ ხელისუფლებამ მაუწყებლობას ყველა ფინანსური არხი გადაუკეტა და ამით ის ფაქტობრივად დახურვის საფრთხის წინაშე დააყენა. გვარამიამ ამას თან შექარაც მიაყოლა „ხელი-სუფლებას ვებრძობი“ – განაცხადა მან, – რომ ვიდრე „რუსთავი-2“ დაიხურება, დაიხურებით თქვენ!

ხელისუფლების მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ (ასე უწოდებს საკუთარ თავს ნაცბანდა), როგორც სწვევია ხოლმე, საკუთარი რუპორტის დახურვის საფრთხე ქვეყანაში თავისუფალი მედიის წინააღმდეგ მთავრობის მორიგ შეტევად, ქართული დემოკრატიისთვის განაჩენის გამოტანად შეაფასა, ხალხს მასობრივი საპროტესტო აქციებისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნისკენ მოუწოდა. ერთი შეხედვით, ეს ბევრს შეიძლება აბსურდად მოეჩვენოს, მაგრამ თავად ტელეარხის ხელმძღვანელები და ნაცბანდის ლიდერები იმედინად არიან, დღევანდელი საპარლამენტო აიგვევინ და გვესხენებენ, შევარდნაძის ხელისუფლება სწორედ ამ ტელევიზიამ რომ გადაიყოლა(!).

აბა, ამ „ბედნიერებას“ რა დაგვავინწყებს, ყველას კარგად გვახსოვს, მაშინ რუსთავიორებებმა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ მანტია რომ მოირგეს და აღარ იცოდნენ ბედნიერებისგან ცას როგორ მისწვდომოდნენ. ისიც გვახსოვს, წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლება თავის რუპორს მილიონობით ლარს რომ პატიობდა და სანაცვლოდ მამამლურ სიუჟეტებს იმკიდა. მაშინ ყველა შესანიშნავად გრძობდა თავს – მთავრობაც, ტელეხელმძღვანელებიც და სხვადასხვა ტელეშოუების ავტორებიც, რომლებიც ზნობადადამიმეზობი „სპექტაკლებს“ ჩვენებით დღემდე „ახერხებენ“ სიღარიბით გატანჯული მშვიერი მაყურებლის „დაპურებას“.

საოცარია, რომ ამ რეალობის შემყურე ზოგ პოლიტიკოსს თუ ექსპერტს ხელისუფლების დიდ შეცდომად მიაჩნია, როცა თავდა „რუსთავი-2“-ს ებრძვის. თუმცა ეგვეც საკითხავია – ვინ ვის ებრძვის, ხელისუფლება – „რუსთავი-2“-ს თუ თავად რუსთავიორები – ხელისუფლებას? ამასთან დაკავშირებით ჩემთან საუბარში საკუთარი პოზიცია გამოხატა ქვეყნის მცირე მენარმეობის დიდმა ქომამამა, „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ასოციაციის თავმჯდომარე ანჟორ საკანდელიძე.

– გაუგებარია, ამბობს ბატონი ანჟორი, რა აქვთ საბრძოლო და საომარი რუსთავიორებს დღევანდელ ხელისუფლებასთან, რომლის წინამორბედმა თავის დროზე მას მუქთად გადასცა სანდრო ეულის ქუჩაზე მდებარე უზარმაზარი ნაგებობა საოფისედ.

– სადაც ახლა არის განთავსებული ტელემაუწყებლობა? – დიას, სწორედ მაგას ვგულისხმობ. იმედია, მესაკუთრეებს შორის დავას სასამართლო სამართლიანად გადაწყვეტს, მაგრამ წინასწარ ვაცხადებ, 1970 წელს აშენებულ ამ შენობაში დღევანდელი ვითომ მესაკუთრეების არაფერი დახარჯულა. უფრო მეტიც, სააკაშვილი მთავრობის დაფინანსებით აშენებულ ამ ნაგებობაში საქართველოსაც არ გადაუხდია საფასური,



მის შემდეგ, რაც საქართველოში შეიქმნა პარა-სიცილი სოციალური ბარამი და გახშირდა მკვლელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები, თსუ ბიოქიმიის კათედრაზე ნ. ალექსიძის ხელმძღვანელობით დაიწყო აგრესიული სინდრომის ბიოქიმიური მექანიზმების კვლევა. სწორედ ამ თემაზე ვესაუბრეთ ბატონ ნუგზარს.

ყურადღება გამახვილდა მამრობითი სასქესო ჰორმონებზე და ორგანიზმში სეროტონინის რაოდენობრივ განაწილებაზე, ვინაიდან წინასწარი მონაცემებით, სწორედ ამ ორ ნივთიერებაზე აღმოჩნდა დამოკიდებული აგრესიისა და მკვლელობის ფორმირება (N. Aleksidze, 2001). აღნიშნულიდან გამომდინარე მამრობითი სასქესო ჰორმონების შესამცირებლად ახდენდნენ ვირთაგვების კასტრაციას. კასტრაციის შედეგად მაქსიმალურად შემცირდა ვირთაგვების აგრესია ბაყაყებისა და თაგვების მიმართ და პრაქტიკულად მკვლელობის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა კასტრირებული ვირთაგვების მხრივ. თავისუფალი ქცევის პირობებში, როგორც წესი, ვირთაგვების 80% კლავს თაგვებსა და ბაყაყებს. კასტრაციის შემდეგ, კასტრირებულ ვირთაგვებში მამრობითი სასქესო ჰორმონის – ტესტოსტერონის ინიექციის შემდეგ ბაყაყებისა და თაგვების მიმართ აგრესია და მკვლელობა კვლავ საგრძობლად გაიზარდა (N. Aleksidze, 2008).

აგრესიული გამოვლინების პრევენციის მიზნით სპეციალურად იქნა შესწავლილი, თუ რა გავლენას მოახდენდა ვირთაგვების აგრესიულ ქცევებზე წყალში მათი ცურვისას ფიზიკური დატვირთვა და დაღლა. აღმოჩნდა, რომ დაღლის შემდეგ აგრესიული ვირთაგვები ტოლერანტული გახდნენ ბაყაყებისა და თაგვების მიმართ და მკვლელობის არც ერთი შემთხვევა არ დადასტურებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე გაკეთდა დასკვნა, რომ სკოლებში გაკვეთილებს შორის ფიზიკური დატვირთვის გაძლიერებით შესაძლებელია ორგანიზმში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათ შორის სასქესო ჰორმონების მაქსიმალურად შემცირება, რაც ცხადია, მნიშვნელოვნად შეამცირებს აგრესიულ ქცევას.




ნუგზარ ალექსიძე

